

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მედიკინის სკოლაში, № 43 კანტონის რედაქციის: მედიკინის სკოლაში, ბანკის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტონის რედაქციაში, მარევე მცხოვრებთათვის: Въ Типографіи. Въ редакціи газ. „Дროага“.

აბაჯითის ფასი: მთელი წლის — 8 მან., ნახევარ წლის — 4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის — 3 მან., ერთის თვის — 1 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათი

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე. ფასი განცხადებისა: დროისაგან ებით ასობე — 1 კაპ., ანო-მთავრული სტრიქონზე — 8 კაპ., ჩვეულებრივს ციციროთი — 5 კაპ., პატრა — 4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გაასწავლოს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოცხადების სტატიები. დაუბეჭდე სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ოთხი თვის ხელის-მოწერა

## „დროებაზე“

1 სექტემბერი დამამწლის დამაღვევად

მიიღება თფილისში, „დროების“ რედაქციაში (ბანკის ქუჩაზე, სტ. მედიკინის სკოლაში). სხვა ქალაქებში „დროების“ აგენტებთან.

ფასი ოთხი თვის გაზეთისა — 4 მან.

შალაქს გარევე მცხოვრებთა გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბარონ: Въ Типографіи. Въ редакціи газеты „Дროага“.

ცალკე ნომერი

## „დროებისა“

თფილისს გარდა შემდეგ ქალაქებში ისე იღება კიდევ:

შუთისში: სვიმონ ჩომახიძესთან, ტიპოგრაფიაში, ბულვართან,

ბაქათუბანში — სტანციის ბუფეტში, ხაშურში (მიხაილოვში) — სტანციის ბუფეტში და

ოკუპირებულში — თუმანოვის მაღაზიაში.

უმორჩილესად ვთხოვთ იმ ჩვენს აგენტებს, რომელთაც რედაქციასთან თავიანთ ხელის-მოწერა მის ანბარიში ჯერ კიდევ გასწორებული არა აქვთ, რაც უმიღება მალე გარდასწორდნენ ანბარი და ხვდარი ფული გაზეთისა გამოგზავნონ რედაქციაში.

## ტელეგრაფები

პარიში, 24 აგვისტოს. ამბობენ, რომ ბაშტინში უწყველად ნახვენ ერთმანეთს თ. ბისმარკი და ავსტრო-ვენგრისის მინისტრი გრაფი ანდრასჩი და მოლაპარაკება ექნებათო.

ბელგრადი, 24 აგვისტოს. მრთს ნაწილს სერბიის ჯარისას ბრძანება მოუვიდა, რომ 1 ენკენისთვისათვის ომის ველზე წასასვლელად მოემზადოს; მეორე ნაწილსაც ბრძანება მოუვიდა მზათ იყოს. შეველა სარდლები სერბიის ჯარისა 25 აგვისტოს გავლენ ბელგრადიდან.

## ომის აგებები

აზიის ბრძოლის ველიდან

ოსმალეთის სამფლობიდან, 16 აგვისტოს.

(„დროების“ კორრესპონდენცია). წუხელის, შუა ღამისას, ერთმა დრაგუნმა დუხაბორების მამასახლისს ზუბკოვს შემოუტანა წერილი პაროღეკაში მყოფი შუბანის ბორსკი პოლკის კამანდირისაგან, სადაც იწერებოდა, რომ პლი-პფენდის ორთულის სანჯახიდან შეუტყობინებიათ შიშ-თავაში მყოფ ამავე პოლკის სოტნი კამანდირისათვისაო, რომ შირალ-ფაშას 6 სოტნა ოსმალს ცხენოსანი ჯარი გამოუგზავნია — დუხაბორების სოფლებისა და საზოგადოთ ახალქალაქის უფლის სოფლების ასაკლებლად აღბაბის მთის მხრით, და ამ ორა სამი დღის განმავლობაში მოვლენ ისინი და დაგვეცემიან ასაობრებელადო.

ეს ამბავი ხსენებულმა მამასახლისმა იმ წამსვე მაზრის უფროსს ტელეგრაფით აცნობა.

მართაც ვნახოთ, ორი საათის შემდეგ კიდევ მოუვიდა ამავე მამასახლისს წერილი, რომ აღბაბის მთის მხრით სოფ. ბლდანოვკის ცხვარს, რომელიც იყორიცხვით სულ 3,000, ყაჩაღები დაეცნენო და ჩილდირის მხარეს გადარეკესო.

ამის გამო წუხანდელი ღამე სულ ერთიანთ დუხაბორები გარეთ გამოვიდნენ, მთელ ღამეს კანკალებდნენ შიშით, არ სძინებიათ.

ბათენების დროს, ღამიანადვე აქ, ბარელოვკაში მყოფი დრაგუნის ზაპასნი ესკადრონი და სხვა დუხაბორების სოფლებიდან ახალი შუბანის პოლკის ჩერქეზებიდან შეკრებილი ჯარი გამოვიდა და ოსმალს სამზღვრისაკენ დასათვალიერებლად წავიდნენ. პირველი სოტნა ჩერქეზებისა მოეწია დილით აღრიან ნისლში მტერსა, თოფების სროლა დაიწყეს, მერე გაიფანტნენ, დაერივნენ ერთმან ერთში ხმალ და ხმალ; ჩვენის მხრით ოთხი ჩერქეზის ყაზახი დასჭრეს, ერთი დუხაბორის ცხრა ადგილას და ყაჩაღების მხრით ორი მოკლეს და ერთი დაჭრილი და ერთიც დაჭრილიც ტყვეთ წამოიყვანეს; ამბობენ, კიდევ სხვა ბევრი

დაჭრილებიც სხვებთან ცხენებით გაეცნენო.

შახახები ამბობენ 60 ცხენოსანი ყაჩაღი იქმნებოდაო.

როდესაც პოლკის კამანდირმა ალაპარაკა დაჭრილი და მეორე დაუჭრელი ტყვეები, მე თვითონ თარჯიმნათ ვიყავ; ესენი აღმოჩნდნენ: ერთი ამთგანი ჩვენ ატრიადში მყოფი მირაქამა მილიციონერი დი სხვა ყაჩაღები, ზარიშატისა და ჩილდირის ჩვენ ხელში მყოფი სანჯახებიდანა.

მართალია, ეს წერილმალე შემთხვევა და გარემოებაა, რომელიც ზემოთ აგიწერეთ; მაგრამ ამისთანა წერილმალე შემთხვევები ისე ხშირად ხდება ამ ჩვენ მოსამზღვრე სოფლებში, რომ ჩვენ მოსვენება არა გვაქვს და ღამე ძილი.“

ამას გარდა აქაურ ხალხს სხვა-და-სხვა ხმები — არტანის ვითომ-მიტოების განზრახვის თაობაზე და აგრეთვე გამოჩენილის მეჭრ-პლის თავისუფალ სეირნობაზედ — ერთოპ ამინებს და მანუკემბელი გარემოება კი ჯერ-ჯერობით ცოტა-რამ უჩანს...  
ა. ბერიძე

სოფ. ბარელოვკა (ახალქალაქის უფლისა)

ზრანკუზულს გაზეთს „Le Temps“-ში დაბეჭდილია შემდეგი სიტყვები შესახებ აფხაზების აჯანყებისა:

„ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ შედგეს თუ არა ოსმალთებმა სოხუმში ფენი, ახხაზები იმ წამსვე გადაუდგნენ რუსის მთავრობას და მიემხრნენ ოსმალთებს.“

რუსის გაზეთებში დაბეჭდილია ახლადენერალ ალხაზოვის პროკლამაცია, რომლითაც ის მოიწვევს აჯანყებულ ახხაზებს, რომ თოფ-იარაღი დაჰყარონ და დაემორჩილონ რუსის მთავრობას. ამ პროკლამაციაში, სხვათა შორის, შემდეგი სიტყვებია მოყვანილი:

„დაგვემორჩილოთ, დაჰყარეთ თოფ-იარაღი, ახხაზებო, და იმედი იქონიეთ ჩვენს იმპერატორის სულგობხელობისა. იცოდეთ, რომ უარის-თქმა თქვენ ხერის არ დაგაყრის: თუ არ დაგვემორჩილებით, იცოდეთ, რომ მე გავცემ ბრძანებას, რომ ჩემმა ჯარმა ავიკლოს თქვენ, ცეცხლს მისცეს თქვენი სახლ-კარი და ქონება. უკანასკნელად გიფორებთ და გირჩევთ: დაგვემორჩილოთ!“

„ამ პროკლამაციის შემდეგ, მართ-



ლაც არავინ დაუზოგავს ღენერალ ალ-  
ბ. ზოგს აფხაზეთში. იქაურს რუსის არ-  
მიაში მყოფი ლონდონის გაზეთის „Ti-  
mes“-ის კორრესპონდენტი ამბობს: „აქ  
სრულებით უარს არ ჰყოფენ იმაზე, რომ  
დატყვევებული აჯანყებულები დახვრი-  
ტეს ანუ ხიშტებით მოკლეს. მხოლოდ  
ერთი ტყვე გადარჩა აფხაზეთიდან და ისიც  
იმიტომ, რომ ის აჯანყებულების რიცხვ-  
ში არ რევიდა და თოფ-იარაღით არ ყო-  
ფილა, როცა დაუჭირავეთ.“

„მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია  
შემდეგი დებეზა 18 აგვისტოსა მურუქ-  
ღარიდამ მიღებული:

„ჩვენი არმიის მთავარი ძალა დაბანა-  
კდა მურუქ-ღარიდამ ტაფა-პროვინცია-  
მდინ და ში-ტაფამდინ. შოველ დღე ატ-  
რადება იგზავნება აქედამ მტრის მოძ-  
რა და ათვალისწინებდალად.

„მუხთარ-ფაშამ ალაჯი ღარიდამ ჩა-  
მოიყვანა თავის ჯარები და შაზილ-ტა-  
ფასა და ინან-ტაფა იდამ სუბოტანამდინ-  
ა და ჰაჯი-მალამდინ დაბანაკა ისინი.  
მიზინკევი და იალნის მთა მსმალლას  
ცალკე, ატრადებით არის დაჭერილი.

„აპობენ, რომ როგორც ბრენადე-  
რის დივიზია მოვა, იმწამსვე წინ წაწევას  
დაიწყებს ჩვენი ჯარით.“

მეორე რუსულ გაწეთში („ახალს  
ღროებაში“) მურუქ-ღარიდამევი მიღებუ-  
ლი შემდეგი ტელეგრამა 18 აგვის-  
ტოს:

„ღენერალი ტერ-ლეკასოვი თავის  
ჯარით იკდირში დგას იზმაილ-ფაშას  
პირა-და-პირ.

„ჩვენ ვამაგრებთ შარაილის მთებს.  
მთავარ-სარდლის ბანაკი შტაბის ბანაკი-  
დამ ასს ნაბიჯზედ იმყოფება.“

მენის გაზეთს „Politiche Correspon-  
denz“-ში სმირნადამ იწერებიან, რომ აქ  
ამ ჟამად დიდ-ძალი ჯარი არის მოგრო-  
ვრავილი და მომეტებული ნაწილი მტე-  
რე აზიის ბრძოლის ველისაკენ უნდა  
წავიდესო. სხვათა შორის, ამ რამდენიმე  
დღის წინათ 7,500 კაცი გამოისტუმრეს  
აქედამ რკინის გზითაო. 5,000 კაციც  
ყაზარებში უცდიან ხომალდებს, რომე-  
ლშიაც უნდა ჩასხდნენ და ღუნაისაკენ  
უნდა წავიდნენო.

ხსენებულს გაზეთს უკვირს—თუ საი-  
დამ და როგორ აგროვებს მსმალეთის  
მთავრობა ამდენ ჯარს; მაგრამ ამაზედ  
უჯრო მომეტებულად კიდევ ის აკვირ-  
ვეს—თუ როგორ არჩენს და საიდამ  
შოულობს ყველა ამათ დაიარაღებისა და  
საომრად გამოწყობისათვის შეძლებას..

„ისეთი მამაკვდავი“ ავათმყოფი კაცი“  
არ ყოფილა მსმალეთითა ამბობს ზემო-  
ხსენებული გაზეთი, როგორც ამ ომი-  
ანობის დიწყებამდინ გვეგონაო!

### მშრომის ბრძოლის ველიდამ

გაზეთს „Голос“-ში დაბეჭდილია დი-  
დი ტელეგრამა, რომელშიაც აწერი-  
ლია ბრძოლა შიპკოს გასავალთან, რო-  
მელიც შეიდი დღის განმავლობაში არ  
შეწყვეტილა. მოგვეყავს ზოგიერთი ალა-  
გები ამ აღწერილად.

„პირველა 9 აგვისტოს, დღის 7 სა-  
ათზე, დაგვეცნენ შიპკოსთან სულეიან  
ფაშის ჯარები; ეს პირველივე თავს-დას-  
ხმა ისეთი გაცხარებული იყო, ოსმალე-  
ბი ისე თავ-განწირულად მოდიოდნენ  
ჩვენზე, რომ ჩვენი აფიცრები გაკვირე-  
ბული იყვნენ.“

ალბათ იმათ იცოდნენ, რომ ჩვენის  
მხრით შიპკოს გადასავალს მხოლოდ  
ერთი მრლოვის პოლკი იცავდა და  
იმედი ჰქონდათ, რომ ასე გაცხარებული  
იერიშის მოსვლით აღებდნენ შიპკოს.  
მაგრამ ჩვენი ჯარები ისე მხნეთ დაუხვ-  
დნენ, რომ სამჯერ ზედი-ზედ დაბრუ-  
ნეს უკან იმ დღეს მტერი.

„ჩვენდა გასაკვირველად იმ ღამესვე  
კიდევ მოგვადგნენ ოსმალები. მაგრამ  
დღისით ჩვენმა ინჟინერებმა ღალღები გა-  
იყვანეს იმ ადგილას, საცა ოსმალები  
უნდა მოსულიყვნენ და მართლაც მოვი-  
დნენ თუ არა ჩვენებმა აფეთქეს ეს ღალ-  
ღები და ერთი ბატალიონი ოსმალოს  
ჯარისა 600 კაცი ჰაერში აფრინდა. და-  
ნარჩენმა იმათ ჯარმა უკან დაიწია.“

„მეორე დღეს შეიდეჯერ მოგვადგნენ  
კიდევ იერიშით ოსმალოს ჯარები. 30,000  
კაცი ჰყავდა აქ სულეიან-ფაშას და ჩვე-  
ნის მხრით ამ დღეს კი მხოლოდ ორი  
პოლკი იყო. გასაკვირველი იყო ამათი  
მხნეობა: თუმცა ჩვენის ზარბაზნებისა და  
ტყვიების წყალობით ასობით ცვირდ-  
ებოდნენ, თოვლისავით დნებოდნენ ოსმა-  
ლოს ჯარის რაზმები, მაგრამ ისინი ყუ-  
რსაც არ იბერტყდნენ და სულ წინ და  
წინ მოდიოდნენ.“

„ღიდი ზარალი მოგვეცა ჩვენცა ამ  
ორი დღის განმავლობაში: იმ ორი პო-  
ლკიდან ნახევარი აღარ დარჩენილა; ზო-  
გიერთი ბატალიონი სულ უაფიცროთ  
დსრჩნენ.“

„მესამე დღეს 11-ს კიდევ უფრო მო-  
მეტებულის გაბრაზებით მოგვადგნენ ოს-  
მალები. ბანსაცდელის დღე იყო ეს დღე  
ჩვენი ჯარებისათვის: ორი დღე სრულე-  
ბით უძილონი, უჭმელნი და მოუსვენარ-  
ნი იყვნენ; ბოლგარის დრუჟინაში სამი  
მეთხვედი ხალხი დახოცილი და მიძიმედ  
დაჭრილები იყვნენ. მაგრამ ყველაზე უფ-  
რო მომეტებული უბედურება ის იყო  
რომ ამ დღეს ჩვენ ტყვია-წამალი მოგ-  
ვაკლდა. ოსმალოები ღოშებივით იბრ-  
ძიან, წინ მოდიან, გაცხარებულად გვე-  
სიან და ჩვენ კი ტყვია-წამალი აღარა  
გვაქვს! ამ დროს ბრძანება მოვიდა, რომ  
ხიშტებით ჩაერიეთ მტერსაო. ამან და-  
გვიხსნა: სალდათებმა გასწავს წინ და  
დააწვივნეს უკან ოსმალებს. მაგრამ რო-  
ცა იმათ დაინახეს, რომ ჩვენ დაბრუნ-  
ებულებს არ ვესვრით, გაიგეს, რომ ტყვია-  
წამალი შემოკლებული გვექონდა და ი-  
სევ დაბრუნდნენ.. საშინელი იყო წამის

წამი. სალდათებს უკან დაბრუნებულნი  
ნება მოუვიდა... ისინი უხარულად  
სტიროდნენ, როცა იმულებული შეიქ-  
ნენ, რომ დაეთმოთ ის ადგილები, რომ-  
ლის დასაცველად სამის დღის განმა-  
ვლობაში ასე გამწარებით იბრძოდნენ...

„ამ დროს შორიდამ, შაბროვის გზი-  
დამ, ურას ყვირილი და ცხენების ფეხის  
ხმა მოგვესმა. ჯარი გაცოცხლდა: ეს  
იყო ახლი ჯარი ღენ. რადეცკის მე-8  
კორპუსი და ღენ. ღრაგომიროვის დივი-  
ზია, რომელიც ჩვენ დასახმარებელად  
მოდიოდნენ. იმ წამსვე, ჩაერივნენ ისინი  
ბრძოლაში და მყისვე წაართვეს მტერს  
ის სამი გამაგრებული ადგილი, რომე-  
ლიც ერთი საათის წინათ დაგუთმეთ

„13-ს სულეიან-ფაშამ, რომელიც სოფ.  
შიპკოში არის, ახალი 20,000 კაცი გა-  
მოგზავნა და ჩვენ ხელ-ახლად წაგართ-  
ვეს სამი რუდუტი (გამაგრებული ალაგი)  
გასავალის თავში. ამ დღეს მოგვიკლეს  
ჩვენ ღენ. ღეროჟინსკი და დაგვიტრეს  
ფეხში ღენ. ღრაგომიროვი.“

ამით თავდება კორრესპონდენტი დე-  
პეზა.

მკითხველმა იცის, რომ 14-სა და 15-ს  
კიდევ რამდენმეჯერ დაეცნენ ოსმა-  
ლოები შიპკოსთან რუსებს, მაგრამ ვერ  
აიღეს.

„ქენევის შურნალში“ დაბეჭდილი და  
სტამბოლიდამ მიღებული დებეზა გვაც-  
ნობებს, რომ სულეიან-ფაშა მალე კი-  
დევ ახალ ჯარს მოელის ღუნაის არმიი-  
დამაო და მოუვა თუ არა, იმწამსვე ხელ-  
ახლად მიადგება კიდევ შიპკოსაო.

ამავე „Journal de Genève“-ში ვად-  
მობეჭდილია ინგლისურ „Times“-ილამ  
შემდღვი დებეზა:

„პორტამ ოფიციალირად აცნობა ინგ-  
ლისის ელჩს ლეიარდს, რომ 19-ს მკე-  
მედ-პლიმ დაამარცხა რუსის ჯარი მს-  
მან-ბაზარსა და მსკი-ჰუმისას შუა და ამ  
დროს 2 ზარბაზანი წაართვა იმათაო.“

სტამბოლიდამ „Deu Tsche Zeitung“-  
ში იწერებიან, რომ აღრანოპოლიდამ  
და ჩილიპოპოლიდამ მუდამ დღე ახალ  
ჯარებს აგზავნის მსმალეთის სამხედრო  
სამინისტროვო და ერთ ნაწილს ამ  
ჯარებისას სულაიმან-ფაშას უგზავნიან  
შიპკოსთან და მეორეს პლევნაში მსმან-  
ფაშასაო.

## სამართველო

დღიური

\* \* \* აბასთუმნიდამ გვეწერს, რომ იქა-  
ურს საავთმყოფოში მყოფ დაჭრილ და  
ავთმყოფ მეომრების სასარგებლოდ, უ-  
მუჩინოს თაოსნობით, ხელის-მოწერა

გაუმართავთ და რამდენიმე დღის განმავლობაში იმდენი ფული მოაგროვესო, რომ 150 სალდათსა და მილიციონერს ჩაი-შაქარსა და თამბაქოს აძლევდნ მუდამ დღეო.

\* \* ჩვენ გვთხოვენ შემდეგი გარემოება გამოვაცხადოთ გაზეთში:

ამ ორი-სამი წლის წინათ სამტრედიის მოვაჭრეთ ორი პირი აღმოუჩინეთ თავიანთ წარმომადგენლებად (დებუტატებად), ერთი ბ. ნ — შვილი და მეორეც ვლენი ს. მ — ძე. ამათ ჰქონდათ მინდობილი ხარჯის აღება საწონისა, საქონლისა და ხორცისა, რომელიც ქალაქის სასარგებლოდ უნდა დარჩენილიყო.

ჩვენ ნამდვილად ვიცითო, გვწერს სამტრედიელი ჩვენი კორრესპონდენტი, რომ ერთის წლის განმავლობაში ამ გადასახადიდან 600 მანეთი შემოაუვიდა ქალაქს და თუმცა მას აქეთ ეს სამი პრისტავი გამოგვეცვალა და ყველას ვთხოვეთ ამ ფულების ამოგებას, მაგრამ დღესაც ეკარგება ქალაქს ეს 600 მანეთიო.

\* \* სამტრედიელმავე გვწერენ, რომ აქაურის ადგილობრივის ჯარის უფროსისაგან თითქმის სანახევროდ ჩვენი დუქნების ოთახები არის დაჭერილიო; ზოგში თვითონ დგას, ზოგში სამზარეულო აქვს გამართული, ზოგში კამანდა უყენია, ზოგში სხვა რამე თუ თავისი და თუ სახაზინო ნივთები, და არაერთარს ქირას არავის არ აძლევსო.

„თუ ხაზინის სასარგებლოდ ითვლება ეს ჩვენი შეწუხება, მაშინ ხმას არ ამოვიღებთო, გვწერს სამტრედიელი ეპარქი; მაგრამ რად უნდა გვაფიქროვდეს ასე ეს კამანდის უფროსი, თუ კი იმას ყველა ამ სადგომებისათვის ხაზინიდან ქირა ეძღვება?“

\* \* თუმცა ეს წერილი ერთის სულტნერებისანი ქალისაგან მივიღეთ, მაგრამ, რადგან ახლანდელი კაცობრიობა და განსაკუთრებით „ქალობრიობა“ საზოგადოთ სუსტ-ნერვებისანი არიან, ამის გამო უტიფო არ იქნება, რომ ამ წერილში მოყვანილ გარემოებას, ვისიც რიგია, ყურადღება მიაქციოს:

„ბატონო რედაქტორო, ახლად ჩამოსული გახლავარ სოფლიდან. როგორც მოგვხსენებათ სოფლიდან მოსული დედაკაცის გარემოება, ვივაჭრე მარავსლაში და როცა შინ დავბრუნდი, ძუკოში მიმავალმა, ცოტა დავისვენე ალექსანდროვის ბაღში. ბამელელ-გამაგლეფის შვესტქეროდი და ამ ქალაქის დადებულ ვფიქრობდი; ამ დროს ზედ ჩემ ყურებაან ერთი რაღაც საშინლად დაიგრილა, შევკრთი და მერე რა მომივიდა, არ ვიცი... ცოტა ხანს შემდეგ, როცა ცივი წყლით მომპირუნეს, გავიგე, რომ თურმე აქ სცოდნიათ შუა დღისას ზარბაზნის სროლა, შემშინებია, გუ-

ლო წამსვლია, წავეცეულვარ და ხალხს ცივი წყლით მოუბრუნებიაო.

„პარტი იქნებოდა, ბატონო რედაქტორო, რომ ამ ომიანობის დროს, როცა უიმისოთაც ყველანი დაფახობილი ვართ, მაინც მოსაზრდენ ამ შუა ქალაქში ზარბაზნის სროლას. სოლოლაკზე ან მთა-წმინდაზე აიტანონ იმ დალოცვილებმა და იქიდან ისროლონ ის არა სჯობია! იქსადამ მთელი ქალაქიც უფრო კარგათ გაიფინებს ხმასა და მაშინ არც არავინ ჩემისთანა ხამი ხალხი დაუთხება...“

სოფელი კენია

„დროების“ კორრესპონდენცია

ზორი, 19 აგვისტო. აქ ახალ ამბვით ითვლება ქართულ წარმოდგენის გამართვა როტონდაში კვირას, 21 აგვისტოს ოსმალეთადამ ომის გამო გადმოსახლებულ ჩვენში სომხების სასარგებლოთ. ამ კეთილ განზრახვისადმი თანაგრძნობის გარდა თეატრში მიზიდაეს აქაურებს ის გარემოებაც, რას თამაშობენ გორელ მწერლის უ. ა. მთათაგის ახალ ოთხმოქმედებთან კომედიას: „ცოლი ვიტყვი, თუ ფული?“

შოველი გორელი, რასაკვირველია, ფიქრობს; „შეველია, ჩვენები ან ჩვენი მეზობლები იქნებიანო გამოყვანილნი თეატრში.“ მე კი დაღესწარ ამ კომედის რეპეტიციას და ვურჩევ გორელებს თავი დაანებონ მაგ თავიანთს იმედებს. უ. ა. მთათაგის თხზულება გაჭიანურებული, უმარილო რამ აღმოჩნდა.

სხენებულ პიესაში გამოყვანილია სომხას ხნიანი, ძუნწი ვაჭარი პეტიქა, რომელსაც საქონელიც ელუბება ზღვაში და ახალგაზდა ცოლიც ჰვალატობს; ამ ქალს მცვეარებია თავის ქრმის „პრიკა-შიკი“, რომელსაც უყარდება ხელში პეტიქას ფულიც. ამას რო სულ ერთად უეცრად გაიგებს პეტიქა, „გრანიცილამ“ შინ დაბრუნებული, ჰკუთიდა იშლება და კორიანტელს აყენებს სცენაზე. ისმის ყვირილი: „შული ვიტყვი თუ ცოლი!“ და ფარდა ჩამოეშვება მეოთხედ და, ჩვენდა სასიამოვნოთ, უკანასკნელად.

კომედის მარლიი შესდგება ქართულ და რუსულ ენების სომხურად და იმერულად მტერევაში, ბაზახანურ კალამბურში და შოთის მუშების ჩიკორივით ტრიალში. მრთი სიტყვით, უფ. მთათაგის პიესაში ახალი არაფერია და ძველი ცუდად არის გამოკრებული.

რალა თქმა უნდა—სამწუხაროა, რომ ზოგიერთებს ჩვენშია თეატრი ჰგონიათ ბალაგანი, სადაც უნდა საძაგელ ლანდვით, ენისმტერევით, „იმეს და“ ემეს“ თქმით და ყირამალაებით გააცინონ ხალხი...

ბ. თ.

პირუშტაშის პირის წავლობა \*) (დასასრული)

აი ეს დარიგებანი:

ა). როგორც კი ვისმე გაუხდებდა საქონელი ჰარით ავით, მაშინვე უნდა გამოუცხადოს სოფლის მამასახლისს და თავის მეზობლებს; გააშოროს ავითმყოფი საქონელი, მიუჩინოს ერთი ვინმე ჰირიანს პირუტყვს, რომ ის არ ეკარებოდეს არც სხვა თავის საქონელს, არც მეზობლებისას.

ბატალკევებული საქონელი არ უნდა გაუშვან საერთო საძოვარზედ; ძაღლები უნდა დაბან, და სხვა შინაური ცხოველები და წერილფეხი არ მიაკარონ ავითმყოფს საქონელს; არც ვარგზე კაცებს და არც იმათ საქონეს არ მისცენ იქით გავლის ნება. ავითმყოფს საქონელს და ან თუ იქვე ქვეშ არის, უნდა აჭამონ ზომიერად, ცალკე სასამოდან ასვან და ცოტა რამე მჭავეც გაუჩიონ შიგ.


არ წაიყვანონ საქონელი გასაყიდათ და არ გაყიდონ არც ტყავი, არც ხორცი, ქონი, ყველი, რძე, არც თივა, არც ბზე, არც არაფერი, რაც კი ცხოველის მახლობლათ ყოფილა; მუდამ სწმინდონ საქონლის განავალი და იმის ნაგავი არ გადაყარონ, არამედ უნდა დასწვან სულ ერთიანათ ან ბოლტანში და ან თუ არა დამარხონ ღრმით მიწაში.

თუ რომ ჰირისგან განთავისუფლდა საქონელი, არ გაუშვან ექვს კვირაზე ადრე საზოგადო საბალახოთ და მაშინაც კი წინდაწინ უნდა დაბანონ ნაცარ წმენდილით და გამოშვების წინათ შეატყობინონ მამასახლასს; მამასახლისის დაუკითხავათ მკვდარი საქონელი არ დამარხონ და თუ დამარხონ, უსათუოდ იქ საცა მამასახლისი ალაგს უჩვენებს.

ბ.) თუ რომელიმე საზოგადოების მახლობლათ ან უფლებში გამოჩნდა ეს გადამდები ჰირი, მაშინვე უნდა მიიღონ სწრაფი საშუალება ამ ჰირის თავიდავე მოსასპობათ და არ მისცენ ნება გავრცელებისა. ამის გამო ნება არ მისცენ საქონლების ჯოგი გადიყვანონ სოფლებში და იმ ქალებზე საცა სოფლის საქონელი ბალახობს და წყალს სვამს, იქიდან, საცა ჰირიანი საქონელია. ჯანმთელი საქონელი ამ დროს კარგი საძოვრით ჰკვებონ და არ გამოუშვან ცვარიან დილას ადრინათ საბალახოთ; აძლიონ კვირაში ორჯელ მარლიი მწარე ბალახით და ხის ქერქით შეზავებული, მაგალითად მელის კულა (რეისკულას), უსუპის ყვავილი და ძეწვის ან წაბლის ქერქი.

არ ასვან ჰაობში ტალახიანი წყალი, წყალში შეურიონ მჭავე ხილის წვენი,

\*) „დროება“ № 130.



მაგალითად ისერიმის წვენი, ჩადებული კიტრისა, გარეული ვაშლისა, ბროწეულისა და სხვა განსაკუთრებით დიდს სიძველეში ცხოველი არ გაუშვან სამუშაოთ; უნდა აბანონ და სწმინდონ საქონელი, კანი უხეხონ ბზით, ჩგრებით და სხვა ნივთებით.

საქონლის ღამის სათევი უნდა ახროლონ და მერე შიგ დასწვან ნაგავი, საცა ღვია ან კვარია, ის უნდა დასწვან, რომ იმათი კომლი გადგეს საქონლის სადგომში.

როცა საქონელს დღისით გამოიყვანებენ ბოსლებიდან, ეს ბოსლები უნდა გაწმინდონ, კირები დააღონ, რომ წმინდა ჰყავს ჰქონდეს თავისუფალი მსვლელობა.

შოველი მეოჯახე, ვინც კი ასრულებს ბეჯითათ ამ დარიგებას, დაწმუნებული უნდა იყოს, რომ იმის საქონელი არ ვახდება ავით, რათგან ამნაირი საშუალებით უფრო მკვიდრათ შეინახეს მეპატრონე თავის საქონელს, ვიდრე ის წამლები, რომელთაც აძლევენ ავითმყოფს საქონელს. მით უფრო მავნებელია და უარესი, თუ ვინმე დაუწყოს საქონელს უცოდინარობით წამლობა, როცა არ იცის როგორ, ან რა საშუალებით უწამლოს საქონელს.

ამას ერთიც უნდა დაუმატოთ, რომ ამ ჭირიანობის დროს არც ერთმა მეოჯახემ არ უნდა იყიდოს არც ბაზარში, არც გარეშე კაცისაგან და არ მიიყვანოს შინ საქონელი მამასახლისის დაუკითხავით.

პირით დაცემული საქონლის ღეში წათრევით არ უნდა გადაიტანონ, არამედ ცხენი უნდა შეეუბან ურემს ან პოვოს-

კას, შიგ თივა ჩაუფინონ, რომ ძირს წვენი არ გადიოდეს და ისე გადიტანონ; თუ ვინცობაა მკვდარი ღეშისგან გამონადენმა წვეთებმა გაატანეს თივასაც და დეცენ ბინაზე, ისიც, მაშინვე უნდა გაწმინდონ და დაასუფთაონ.

ბ). მამასახლისმა დიდი თვალ-ყური უნდა ადევნოს იმ ზომებს, რომელსაც მოიხმარენ სოფლის საზოგადოებაში ჭირის გაჩენის დროს; ყოველ გვარი შემწეობა უნდა აძლიოს მუშებით, კაცებით, რომ ჭირის მოსპობის საშუალება მტკიცეთ და ბეჯითათ მოიხმარონ; რიგანი ყურადღების მიუცემლობისთვის კანონით სხვაზე ის უფრო სასტიკათ დაისჯება.

მამასახლისმა ნება არ უნდა მისცეს სოფლის მკითხვეებს და უცოდინარო კაცებს, რომ ჭირიან საქონლებს უწამლონ, არამედ მაშინვე შეუდგეს თავის ზომების მოხმარებას და სწრაფათ აცნობას უეზდის სასამართლოს და ითხოვოს შესაფერი პოლიციის განკარგულების მოხდენა.



ბ. ც.

### განცხადებანი

მისათვის და მისანიკოსს რუგუნ ნაკაშიანს აქვს პატენტი პატენტივერული თფილისის საზოგადოებას აცნობოს, რომ ის ამყოფება თამბაქოს ფაბრიკანტის უფ. ნიკოლოზ ბოზარჯიანის მალაზიაში (დენერალ-მიორის არწრუნის ქარვასლაში, შტაბის გვერდით) და იღებს **ბასსაქითაქალად საათუმს და საქარავ და აგრეთვე სხვა ყოველგვარ მავინებს.**

შაკეთებ აგრეთვე მალაზიებისათვის ფარდებს, მასასახლან დასაფარებელად; ამ ფარდებს განკუთვნილებს, რომ უსვეტოთ არის გაკეთებული და მესხანიკურის ბორბალოთ შეიძლება იმის აწევა და დაწევა.

### შალაქის გამომოგისაზან

თფილისის შალაქის გამომოგა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ, თანახმად შალაქის რჩევის 20 იენისის გარდაწყვეტილებისა, სავაჭრო პოლიციის თითოეულს ბუდკაში არის ცალკე წიგნი ჩასაწერად საჩივრებისა იმ თფილისის ვაჭრებზე, რომელნიც სავაჭრო პოლიციის წესდებებს დაარღვევენ.

(3-2)

### დაიზავდა და გამომვიდა სტამბიდა

ლექსი  
თ. ი. ზ. ჩოლაქაშვილის  
გარდაცვალებაზე  
თავის სურათით  
თქმული  
დავით ბივიშვილისაგან  
ისპილება სხვა და სხვა წიგნის მალაზიებში.  
შასი ყველგან ორი შაური.

### მხსოთე კარი

### „ქარაქანიანი“

გამოვიდა და ისეიდება, ტფილისში: მელიქიშვილის სტამბაში და სხვა წიგნის მალაზიებში. სპარსულიდან ქართულს ენაზე ხათარგმნი თავის სურათებით. შასი 40 კაპ. (ორი აბაზი). აგრეთვე ისეიდება შემოხსენებულ ადგილებში I, II, III, და IV კარი შარამნიანისა.  
ქუთაისში: გუბერნიის სტამბაში სეიმონ ჩომახიძესთან.

რკ. მზა.	დილა.	სალამ.	II კ.		III კ.		ტელეგრაფი		მ. კაპ	ბირჟა		გაზანდა	
			მ. ცი	სიტყვა	თფილისი	დამ.	კაპ	მთილისი		მან.	კაპ		
თფილისი	9 21	5 18					მ. ცი სიტყვა			პეტერბურგი, 20 აგვისტოს		თფილისი, 24 აგვისტოს	
მცხეთა	10 11	6 27	68	38			მუთისს, შოთს	1		მთი მანეთი ღირს:		შქვ. თეთ. მანჯისა, ფო.	1 45
ზორი	11 58	9 43	40	1 23			ზორს, ღუშეთს, სიდნალს	50		ლონდონში 24 პენსი.	78	შქვილი წითელი.	1 30
საშური	1 29	11 57	92	2 18			როსტოვს, მდესას, მოსკოვს	2		პარიჟში 259 ანტიმი.	81	ჭერი ფუთი.	1
სურამი	1 44		42	2 46			პეტერბურგს, ვარშავას	2		მსკონტი (სარგებლისფასი)	71 1/2	ბაზა ქრევისა, ფუთი.	6 50
შვირილა	5 49		5	81 3 23			მსხალეთში, შვეიცარიაში	3		ბანკის ბილეთი 5%	94	— ამერიკისა, ფუთი.	8
რიონი	6 47		6	75 3 75			იტალიაში და საფრანგეთში.	3	50	მოგებიანი (პირველდსესხი)	207	ბაჰენტილი ბაზა ფო.	8 50
სამტრედია	7 41		7	73 4 29			ინგლისში	3	75	მოგებიანი (მეორე სესხი)	208	მატყლი თუშური ფო.	5
აბ-სენაკი	—	—	8	57 4 76			<b>ფო. შტა</b>			ბირაოს ფურცლები:		— თარქაშისა ფო.	3 40
ფოთი	9 40		9	75 5 42			ა) თფილისიდან: სამხდვარ გარეთ, მუთისს, რუსეთს — ყოველ დღე			თფილ. საზნ. ბანკისა.		აბრეშუმი ნუშური სტ.	2
შოთი	9 13						კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.			ხერსონის ბანკის (5 1/2)	85	ჭონი, ფუთი.	5
აბ-სენაკი	—	—	1	18 - 66			მსურ. — პარასკ. და ორშ. ძახეთს —			მოსკოვის (5%)	85 50	ჭონის სანთელი ფუთი.	6 40
სამტრედია	11 16		2	6 1 14			სამშ. და შაბ. ბ) მუთისიდან:			აქციები:		სტეარინის სანთელი, ფ.	11 40
რიონი	12 13		3	4 1 69			თფილისისა და შოთისაკენ — ყოველ			მდესის სავაჭრო ბანკის	177	ხორცი ძროხისა, ლიტ.	54
შვირილა	1 18	ლაშე	3	98 2 21			დღე, კვირას გარდა. მსურგეთს —			ფოთი-თფილ. რკინ. გზის		— ცხვრისა, ლიტრა	63
სურამი	5 12		5	33 2 96			ორშ. და პარასკ.			შავი ზღვის ცეცხ. გემების	527	სპირტი, გრადუსი	12
საშური	5 39		1	37 5 84 3 24			წიგნის გაგზავნა რუსეთში			ქაკეჯის და მერკურის.	225	შაქარი, ბროტ. ფუთი	8
ზორი	7 5		4	87 3 64 1 9			და სამხდვარ გარეთ:			პირე. საზღვევ. საზოგ.	745 50	— ფხენილი ფუთი	7 20
მცხეთა	8 50		6	59 9 8 5 4			ლია წიგნის	4		პეტერბ. საზღვევ. საზ.	235 50	შავი ქუნჯუთისა ფუთი.	8 50
თფილისი	9 31		7	56 9 7 5 4 2			დ. ბეჭდილის (სამი მისხალი)	8		მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	მქობა 1/2 იმპერილი.	7 80